940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. მაისის 7 № 8 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

34. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.
35. სახელმწიფო დაზღვევისათვის შენობების შეფასების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

34. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ 1940 წლის 4 აპრილს მიღებული კანონის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა საქართველოს სს რესპუბლიკაში გატარდეს შემდეგ საფუძვლებზე:

I. რა ქონება უნდა იქნას დაზღვეული

1. კოლმეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით დაზღვეულ უნდა იქნას:

ა) შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესები (მათ შორის სანერგეებსა, ვალსათბურებსა და სათბურებში მყოფიც), სანერგეები და ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების მოსავალი;

გ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი, თხა და ღორი — 6 თვის და მეტი ასაკისა; ცხენი, აქლემი, ვირი და ჯორი — 1 წლის და მეტი ასაკისა, ხოლო ცხენის, აქლემისა და ვირის ჯიშიანი მოზარდეული — 6 თვის და მეტი ასაკისა;

დ) თევზსაჭერი გემები.

2. მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესით დაზღვეულ უნდა იქნას შემდეგი ქონება, რაც მათ პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით:

ა) შენობები;

ბ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 6 თვის და მეტი ასაკისა; ცხენი, აქლემი, ვირი, ჯორი, ცხვარი და თხა — 1 წლის და მეტი ასაკისა; ღორი — 9 თვის და მეტი ასაკისა;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მინდვრის ნათესები.

II. რა შემთხვევებში ხდება ზარალის ანაზღაურება

3. შენობების დაზღვევის, ხოლო კოლმეურნეობებში, ამას გარდა, ინვენტარის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ცეცხლისაგან, მეხის დაცემისაგან, აფეთქებისაგან (თუნდაც მეხის დაცემამ და აფეთქებამ არ გამოიწვიოს ხანძარი), წყალდიდობისაგან, მიწისძვრისაგან, ქარიშხლისაგან, გრიგალისაგან, თქეშისაგან, სეტყვისაგან, ჩამოზვავებისა და მეწყერისაგან მიყენებულ ზარალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახდაზღვევა დამაზღვევლებს ზარალს აუნაზღაურებს აგრეთვე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ხანძრის გავრცელების შესაწყვეტად ან წყალდიდობის მოულოდნელი საფრთხის დროს საჭირო იყო შენობის დაშლა ან მისი გადატანა სხვა ადგილას.

4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს, რომელიც მოხდა:

ა) სეტყვით, თქეშით, ქარიშხლით და მოსავლის აღებამდე ცეცხლით დაზარალებისაგან;

ბ) ჩალპობისაგან, დაზვრისაგან, ჩახურებისაგან, მოყინვისაგან და წყალდიდობისაგან.

5. არახისის, თამბაქოს, სოიას, ბრინჯის, კენაფის, გერანის, ლუფის, რამის, ბამბის, კაუჩუკოვან კულტურათა ნათესების, აგრეთვე სვიისა და დამასკოს ვარდის მოსავლის დაზღვევის დროს ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიყენებულია სეტყვით, თქეშით, ქარიშხლით და მოსავლის აღებამდე ცეცხლით დაზარალებისაგან, ჩალპობისაგან, დაზვრისაგან, ჩახურებისაგან, მოყინვისაგან, წყალდიდობისა და გვალვისაგან.

6. პირუტყვის დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს გამოწვეულს პირუტყვის დახოცვით, რაც ავადმყოფობის, სიბერისა და უბედური შემთხვევის გამო მოხდა.

სახდაზღვევა აგრეთვე აანაზღაურებს პირუტყის იძულებითი დაკვლით გამოწვეულ ზარალს:

ა) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით, ეპიზოოტიასთან ბრძოლის ღონისძიებათა გატარებასთან დაკავშირებით;

ბ) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის, ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით, ხოლო მათი არყოფნის დროს — სასოფლო საბჭოს დეპუტატის განკარგულებით, როდესაც პირუტყვს უბედურება შეემთხვა და მას აუცილებელი დაღუპვა მოელოდა;

გ) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით იმ განუკურნებელი სენის შედეგად, რომელიც შეუძლებელს ხდის პირუტყვის შემდგომ გამოყენებას.

7. თევზსაჭერი გემების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს, რაც გამოწვეულია:

ა) ხანძრისაგან, მეხის დაცემისაგან, ქარიშხლისაგან, გრიგალისაგან, ქარტეხილისაგან, შტორმისაგან;

ბ) გრუნტზე, კლდეზე, წყალქვეშა ქვებსა და ყოველგვარ უძრავ ან მცურავ საგნებზე დაჯახებისაგან, თუ დაჯახება მოხდა ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის, შტორმის ან ნისლის შედეგად;

გ) ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის, შტორმის ან ნისლის დროს მეჩეჩზე გემის დაჯდომისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოტორის ან საორთქლე ქვაბების აფეთქებისაგან;

ე) ყინულის მიერ გემების დაზიანებისაგან ნაოსნობისას ან ისეთ ადგილებში დგომის დროს, რომლებიც სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის ან სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ცნობილია გამოზამთრებისათვის უშიშარ ადგილებად;

ვ) ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის ან შტორმის შედეგად გემის უკვალოდ დაკარგვისაგან.

8. მე-3, 4, 5 და 6 მუხლებში ჩამოთვლილი სტიქიური უბედურებისაგან ქონების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა (მუხლი 1 და 2) ხდება საყოველთაოდ.

თევზსაჭერი გემების დაზღვევა მე-7 მუხლში ჩამოთვლილი სტიქიური უბედურებისაგან ტარდება შავ ზღვაზე და პალიასტომის ტბაზე.

III. **რა თანხის ოდენობით გაიცემა სადაზღვევო საზღაური**

9. კოლმეურნეობათა კუთვნილი შენობების, ინვენტარის, მოწყობილობის სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, თევზსაჭერი გემების (მუხ. 7) ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან (მუხ. 3) დალუპვის შემთხვევაში სადაზღვევო საზღაური გაიცემა ქონების სრული ღირებულების ოდენობით საინვენტარო შეფასების მიხედვით, ხოლო იმ შენობებისა, რომლებიც მოქალაქეებს პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით, — შენობათა სრული ღირებულების ოდენობით სადაზღვევო შეფასების მიხედვით (საქალაქო ადგილებში — იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დააწესებენ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთა ორგანოები).

10. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურები დაიღუპება, სადაზღვევო საზღაური მიეცემათ შემდეგი ნორმების მიხედვით (მანეთობით ერთ ჰექტარზე).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება	სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმები	
	კოლმეურნეობანი	ერთპიროვნული მეურნეობანი
1) მარცვლეული, პარკოსანი კულტურები, საზეთე სელი, მზესუმზირა, ნათესი ბალახები (გარდა ნათესი ბალახების სათესლეებისა) სასილოსე კულტურები, სოია, კენაფი	80 მან.	60 მან.
2) ბოსტნეული კულტურები და ამ კულტურათა სათესლეები, ბაღჩეული კულტურები:		
ა) ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ყარაიის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ქუთაისის, მცხეთის, სამტრედიის, თბილისის, თელავის რაიონში	840 მან.	680 მან.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება	სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმები	
	კოლმეურნეობანი	ერთპიროვნული მეურნეობანი
ბ) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ რაიონში	750 მან.	600 მან.
3) ბაღები (მათ შორის ციტრუსოვანი ნარგავები), საკენკრეები:		
ა) ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში	1100 მან.	—
ბ) აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში და საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ რაიონში . . .	1000 მან.	—
4) ვენახები:		
ა) აღბულაღის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, ცაგერის, წითელწყაროსა და ჩხარის რაიონებში	1700 მან.	—
ბ) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ რაიონში	1400 მან.	—
5) ბამბა	400 მან.	300 მან.
6) თამბაქო ყვითელი და სასიგარე:		
ა) აფხაზეთის ასსრ, ბორჩალოსა და ლაგოდეხის რაიონში	1650 მან.	1350 მან.
ბ) აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და საქ. სსრ ყველა დანარჩენ რაიონში .	1450 მან.	1150 მან.
7) სვია	2250 მან.	1800 მან.
8) გერანი, დამასკოს ვარდი, ლუფი, არახისი და რამი .	600 მან.	400 მან.
9) თამბაქოს, კომბოსტოს, ტომატისა და სხვა კულტურების ჩითილი; ვენახის სანერგეები, ხეხილის, სვიის, ჩაისა და სხვა კულტურების სანერგეები	8000 მან.	—
10) კარტოფილი, ძირხვენები (მათ შორის შაქრის ჭარხალი), ძირხვენების სათესლეები, ნათესი ბალახების სათესლეები, ბრინჯი, ჩაი, ტუნგო, კაუჩუკოვანი და სხვა კულტურები	250 მან.	2 0 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. პირუტყვის დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვევო საზღაური მიეცემა შემდეგი ნორმების მიხედვით: (მანეთობით 1 ცხოველზე):

ცხოველთა სახეობა	კოლმეურნეობებს	მოკალაქეთა მეურნეობებს (პირადი საკუთრება)
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხენი, ჯორი, აქლემი .	240	200
ვირი	80	70
ცხვარი და თხა	50	40
ღორი	70	50

შენიშვნა: 1. 1 წლიდან 2 წლამდე ხნის ცხენის, აქლემისა და ვირის (კოლმეურნეობათა კუთვნილისა კი 6 თვიდან 2 წლამდე ხნის ჯიშიანი ცხენის, აქლემისა და ვირის), 18 წლისაზე ხნიერი ცხენის, აგრეთვე 6 თვიდან 1 წლამდე ხნის მსხვილფეხა რქიანი საქონლის დაზღვევის სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმა 50 პროცენტით მცირდება.

შენიშვნა: 2. კოლმეურნეობათა კუთვნილი 2 წლისაზე მეტი ხნის ჯიშიანი ცხენი, აქლემი და ვირი, აგრეთვე 1 წლისაზე მეტი ხნის ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი და ღორი სადაზღვევო შეფასების სრული ღირებულების ოდენობით დაიზღვევა.

12. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა სადაზღვევო უზრუნველყოფის საშუალო ნორმების ფარგლებში დააწესონ ნორმები რაიონებისა და ქალაქებისათვის.

13. ამ დადგენილებაში აღნიშნული უზრუნველყოფის ნორმების მიხედვით სადაზღვევო საზღაური გაიცეს 1941 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ზარალისათვის.

14. სადაზღვევო საზღაური სადაზღვევო უზრუნველყოფის მთელი თანხის რაოდენობით გაიცემა მხოლოდ ქონების მთლიანად დაღუპვისას; ნაწილობრივ დაზიანებისას გაიცემა სადაზღვევო უზრუნველყოფის თანხის სათანადო ნაწილი.

პირუტყვის დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვევო საზღაური გაიცემა უზრუნველყოფის ნორმის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ნამდვილი ღირებულებისა, რადაც ფასობენ ეს ცხოველები ჯანსაღ მდგომარეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სადაზღვევო გადასახდელები

15. დაწესდეს შემდეგი განაკვეთები (ტარიფები) სადაზღვევო გადასახდელებისა (მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთზე):

დაზღვევის ობიექტები	კოლმეურნეობებში	კოლმეურნეთა მეურნეობებში	ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში
1) შენობები, პროდუქცია, ნედლეული და მასალები:			
ა) სოფელ ადგილებში	0,50	0,70	1,00
ბ) ქალაქებში, მუშათა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში	0,30	0,50	0,50
2) ინვენტარი, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი	0,30	—	—
3) ცხენი და ჯორი	6,00	8,00	14,50
4) აქლემი და ვირი	5,00	7,00	9,00
5) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	2,00	3,00	5,00
6) ცხვარი და თხა	3,00	5,00	7,00
7) ღორი	4,00	6,00	8,00
8) სასოფლო-სამეურნეო კულტურები:			
ა) სეტყვით, თქეშით, ქარიშხლით და მოსავლის აღებამდე ცეცხლით დაზარალებისაგან დაზღვევისას:			
I **ჯგუფი**: აჭარის ასსრ, აღბულაღის, აბაშის, მაიაკოვსკის, ვანის, გეგეჭკორის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ყაზბეგის, ქვემო-სვანეთის, ფოთის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მახარაძის. სამტრედიის, ტყიბულის, ხობის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ცხაკაიას, წულუკიძის, ჩოხატაურის, ჩხარის და ჩხოროწყუს რაიონი	2,00	—	4,10
II **ჯგუფი**: აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ა. ო., ამბროლაურის, ბორჯომის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, ყარაიის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თბილისის, თიანეთის, ხაშურის, ცაგერის, წალკის, ჭიათურის, ადიგენის, ასპინძის და ახალციხის რაიონი	2,60	—	5,40
III **ჯგუფი**: ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის თელავის და წითელწყაროს რაიონი	3,00	—	6,60
ბ) ჩალპობისაგან, დაზვრისაგან, ჩახურებისაგან, მოყინვისა და წყალდიდობისაგან დაზღვევისას: საშემოდგომო ნათესებისა და მრავალწლოვანი ნათესი ბალახებისა	3,50	—	9,00
დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა . . .	1,70	—	5,00
9) თევზსაჭერი გემები	2,00	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ამ დადგენილების მე-5 მუხლში ჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევისას დაწესდეს შემდეგი განაკვეთები (ტარიფები) სადაზღვევო გადასახდელებისა (მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთზე):

	კოლმეურნეობებში	ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში
ბამბა	3,50	6,00
თამბაქო (ყვითელი და სასიგარე)	10,00	15,00
ამ დადგენილების მე-5 მუხლში ჩამოთვლილი დანარჩენი კულტურები	8,00	12,00

17. მუშების, მოსამსახურეებისა და კოოპერირებული შინამრეწველების კუთვნილი ქონების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისათვის შეფარდებულ იქნას კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის (მეურნეობის არაგანსაზოგადოებულ ნაწილში) დაწესებულ სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთები (ტარიფები), ხოლო არაკოოპერირებულ შინამრეწველთა, ხელოსანთა და სხვა მოქალაქეთა კუთვნილი ქონებისათვის — ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთები.

18. საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესების სადაზღვევო გადასახდელი თითოეულ მეურნეობაზე გამოანგარიშებულ იქნას თესვის გეგმის მიხედვით, მრავალწლოვანი ბალახების წარსული წლების ნათესების სადაზღვევო გადასახდელი — თიბვის გეგმის მიხედვით, ხოლო ბაღების, საკენკრეთა და სხვა ნარგავთა მოსავლის სადაზღვევო გადასახდელი — ფაქტიური ფართობის მიხედვით.

გეგმის გადამეტებით დათესილი ფართობი დაზღვეულ იქნას უფასოდ.

19. უფლება მიენიჭოს აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს საშუალო განაკვეთების ფარგლებში დააწესონ განაკვეთები რაიონებისა და ქალაქებისათვის.

20. სავალდებულო საგანაკვეთო სადაზღვევო გადასახდელები გამოიანგარიშება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ. თითოეულ დამაზღვეველს ხელწერილ ქვეშ ეძლევა სახელმწიფო დაზღვევის მიერ დაწესებული ფორმის საგადასახდელო უწყება. სოფელ ადგილებში დამაზღვევლებს (გარდა კოლმეურნეობებისა) გადასახდელებს ახდევინებენ რაიონების საფინანსო განყოფილებათა საგადასახადო აგენტები, ხოლო კოლმეურნეობებს და ქალაქ ადგილების დამაზღვევლებს — სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება რეგისტრაციის დროს გადამალული ან გამოტოვებული ქონება, რომელსაც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ეხება, სადაზღვევო გადასახდელი გადახდევინებული იქნება მთელი იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც ქონება არა ყოფილა აღრიცხული, მაგრამ ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს.

22. იმ ქონების რეგისტრაცია, რომელსაც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ეხება, წელიწადში ერთხელ სწარმოებს. სადაზღვევო გადასახდელი გამოიანგარიშება ამ რეგისტრაციის დროს აღრიცხული ქონების მიხედვით. იმ ქონების სადაზღვევო გადასახდელი, რომელიც დამაზღვევლის მეურნეობას რეგისტრაციის შემდეგ შეემატა, გადახდევინებულ იქნება მხოლოდ ქონების შემდგომი მორიგი აღრიცხვის ჩატარების შემდეგ.

23. ზარალის გამო სადაზღვევო საზღაურის თანხებიდან გამოქვითული იქნება მხოლოდ სადაზღვევო გადასახდელი და მისი ნარჩენი.

24. დაწესდეს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა შეტანის შემდეგი ვადები:

ა) კოლმეურნეობებისათვის — გადასახდელის 40 % ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის, 30 % — 1 ნოემბრისათვის და 30 % — 1 დეკემბრისათვის;

ბ) კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების, ერთპიროვნული გლეხებისა და სხვა მოქალაქეთათვის — გადასახდელის 50 % ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის და 50 % — 1 ნოემბრისათვის.

25. ვადაზე შეუტანელი სადაზღვევო გადასახდელი ნარჩენად ჩაითვლება. ნარჩენის დაერიცხება საურავი ვადას გადაცილებული ყოველი დღისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა) კოლმეურნეობებს — 0,05 %;

ბ) მოქალაქეთა მეურნეობებს — 0,1 %.

26. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა შემოსული საერთო თანხიდან 15 % გადაირიცხება ხანძრისა და პირუტყვის დაღუპვის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ხარჯების დასაფარავად.

27. სახელმწიფო დაზღვევის დარგში მასობრივი მუშაობის გასაწევად და სადაზღვევო აქტივის (საზოგადოებრივი სადაზღვევო ინსპექტორების, კოლმეურნეობებთან არსებულ სადაზღვევო საგუშაგოთა წევრების და სხვ.) დასაჯილდოებლად დაწესდეს ანარიცხი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოსულ გადასახდელთა 0,5 % რაოდენობით.

V. შეღავათები.

28. მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით კოლმეურნეობებს ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) ჯიშიანი ცხოველების დაზღვევაში — სადაზღვევო გადასახდელის შემცირება 20 % რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სასაქონლო ფერმებში მყოფი ცხოველების დაზღვევაში — სადაზღვევო გადასახდელის შემცირება 20 % რაოდენობით;

გ) კოლმეურნეობებს, რომლებიც გადამეტებით ასრულებენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას და რომელთაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ცხოველთა მოვლა-შენახვაში, ცხოველთა დასაზღვევად გამოანგარიშებული სადაზღვევო გადასახდელი შეუმცირდებათ 25 პროცენტამდე.

29. კოლმეურნეობებს, რომლებსაც ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობის მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ და რომლებიც ცეცხლგამძლე სახურავებიან შენობებს აგებენ (კრამიტი, რკინა, შიფერი და სხვ.), შენობათა, ინვენტარის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების დასაზღვევად გამოანგარიშებული გადასახდელი შეუმცირდებათ 50 პროცენტამდე.

30. მე-28 მუხლის „გ" ლიტერსა და მე-29 მუხლში აღნიშნული შეღავათების ოდენობა ცალკეული კოლმეურნეობებისათვის წესდება მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებში დაზღვეული ქონების მდგომარეობის შემოწმების აქტების საფუძველზე.

31. მსხვილფეხა რქიანი მოზარდეული პირუტყვი 6 თვიდან 1 წლამდე ასაკისა და მოზარდეული ცხენი, აქლემი, ვირი და ჯორი 1 წლიდან 2 წლამდე ასაკისა (ხოლო ჯიშიანი მოზარდეული ცხენი, აქლემი და ვირი — 6 თვიდან 2 წლამდე ასაკისა) იზღვევა სადაზღვევო გადასახდელთა გადაუხდევინებლად.

32. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სახდაზღვევის ორგანოთა წარდგენით, შეუძლიათ ნაწილობრივ ან მთლიანად გაანთავისუფლონ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთაგან მოქალაქეთა ცალკეული მეურნეობანი.

33. ახლად დასახლებულნი, აგრეთვე კოლმეურნეობანი, რომლებიც ახლად ეწყობიან ახლადდასახლებულთაგან, ან თავიანთ შემადგენლობაში იღებენ მათ ჩასახლების ადგილებში სადაზღვევო გადასახდელთა გადახდისაგან თავისუფლდებიან „სასოფლო-სამეურნეო გადასახლების ხაზით შეღავათების შესახებ" სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ნოემბრის № 115/2043 დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის კან. კრ. 1937 წ. № 73, მუხ. 352).

34. მოცემული წლის 15 სექტემბრამდე კოლმეურნეობებში შესულ მეურნეობათა არაგანსაზოგადოებული ქონების დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელი გამოიანგარიშება კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთების (ტარიფების) მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. დამაზღვეველთა მოვალეობანი

35. კოლმეურნეობანი და სხვა დამაზღვეველნი მოვალენი არიან სავსებით კარგად ჰქონდეთ მოვლილი ქონება და ნათესები, მტკიცედ დაიცვან ხანძრის საწინააღმდეგო, აგრონომიული და ვეტერინარული წესები, მიიღონ ყველა მათზე დამოკიდებული ღონისძიება, რათა თავიდან იქნას აცილებული ხანძარი, პირუტყვის დაავადება და სხვა.

36. დამაზღვეველებმა დაზღვეული ქონების სტიქიური უბედურებისაგან დაღუპვისა ან დაზიანების შესახებ უნდა აცნობონ: კოლმეურნეობებმა — სოფლის საბჭოსა და დაზღვევის ინსპექტორს, კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა — სოფლის საბჭოს. ეს განცხადებანი შეტანილ უნდა იქნას არაუგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ა) შენობათა და სხვა ქონების ხანძრისაგან, წყალდიდობისაგან და სხვ. დაღუპვისას, აგრეთვე პირუტყვის დაღუპვისას — არაუგვიანეს ერთი დღეღამისა სტიქიური უბედურების ან უბედური შემთხვევის დღიდან;

ბ) თევზსაჭერი გემების დაღუპვისა ან დაზიანებისას — არაუგვიანეს ხუთი დღე-ღამისა სტიქიური უბედურების დღიდან;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა ან დაზიანებისას — არაუგვიანეს ხუთი დღე-ღამისა იმ დღიდან, როცა მათი დაზიანება ან დაღუპვა გამოირკვა.

დამაზღვეველთაგან მიღებულ განცხადებათა შესახებ, გარდა იმ განცხადებებისა, რომლებიც პირუტყვის დაღუპვას ეხება (მუხ. 37), სოფლის საბჭოები ვალდებულნი არიან აცნობონ დაზღვევის რაიონულ ინსპექციას არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

VII. ზარალის შესახებ აქტების შედგენის წესი

37. დაზღვეული პირუტყვის დაღუპვის შემთხვევაში სოფელ ადგილას აქტებს ადგენენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ან, მისი რწმუნებით, სოფლის საბჭოს დეპუტატები, ქალაქ ადგილას — დაზღვევის ინსპექტორები ან ვეტერინარი ექიმები. აქტების შედგენაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ: როცა ზარალი კოლმეურნეობაში მოხდა — გამგეობის თავმჯდომარემ ან გამგეობის სპეციალურად რწმუნებულმა წევრმა, ხოლო როცა ზარალი კოლმეურნის ან ერთპიროვნული მეურნის მეურნეობაში მოხდა — მეურნეობის მეთაურმა ან ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა. აქტები სდგება ორი მოწმის დასწრებით.

38. შენობათა, ინვენტარის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, თევზსაჭერი გემებისა და სხვა ქონების დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში, აქტებს ადგენენ სახდაზღვევის ორგანოები. აქტების შედგენაში აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა დამაზღვეველმა (მუხ. 37), სოფლის საბჭოს წარმომადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელმა და ორმა მოწმემ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვის დროს — აგრონომმაც.

39. სახდაზღვევა ზარალს არ ანაზღაურებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული ქონების დაღუპვასა და დაზიანებაში ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის გამგეობას, ხოლო მოქალაქეთა მეურნეობებში — დამაზღვეველს ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

40. სახდაზღვევას უფლება აქვს სახალხო სასამართლოს საშუალებით აღძრას ძიება, რათა გაცემული სადაზღვევო საზღაურის თანხა გადახდეს იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის დაზღვეული ქონების დაღუპვასა ან დაზიანებაში.

41. სახდაზღვევას უფლება აქვს უარი განაცხადოს სადაზღვევო საზღაურის გადახდაზე, თუ დამაზღვეველმა დადგენილ ვადაზე არ აცნობა (მუხ. 36) დაზღვეული ქონების დაღუპვისა ან დიზიანების შესახებს, თუმცა ამის საშუალება ჰქონდა.

VIII. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების წესი

42. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა საქართველოს სს რესპუბლიკაში სწარმოებს „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ 1940 წ. 4 აპრილის მიღებული კანონის, ამ დადგენილების და მათ საფუძველზე აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ გამოცემულ დადგენილებათა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

43. წინადადება მიეცეთ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს ხუთი დღის ვადაში გამოსცენ და გამოაქვეყნონ დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

44. ამ დადგენილების გამოცემასთან ერთად გაუქმდეს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192; № 34, მუხ. 260; 1935 წ. № 15, მუხ. 94), აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 10/15 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 25, მუხ. 144). 1936 წ. 25 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში 1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 20, მუხ. 119; № 31, მუხ. 186), 1936 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული დადგენილების 33 მუხლის გაუქმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 34, მუხ. 204) და 1937 წ. 1 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში 1935 წლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 15, მუხ. 111);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 17 ნოემბრის დადგენილება „1934 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 33, მუხ. 248);

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სოფელ ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ დად. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 39);

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 21 მარტის დადგენილება „სელისა და კანაფის ნათესების, წითელი სამყურას სათესლეების გვალვისაგან და ცალკეული სახის სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გაუქმების შესახებ“ (საქ. სსრ დად. კრ. 1939 წ. № 10, მუხ. 43).

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 2 აგვისტოს დადგენილება „სოფელ ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემულ დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 18, მუხ. 73).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 21. № 678.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. სახელმწიფო დაზღვევისათვის შენობების შეფასების მუშაობის [illegible] ნარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს: ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არ შეუსრულებიათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 აპრილის დადგენილება „სახელმწიფო დაზღვევისათვის შენობათა შეფასების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 28, მუხ. 189). დღემდე არ არის გამოცემული შეფასების ნორმები შენობათა შესაფასებლად ქალაქებში და არ დამთავრებულა კოლმეურნეობათა კუთვნილი შენობის ინვენტარიზაცია.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას შენობათა შეფასების მუშაობის დამთავრება 1940 წლის 1 დეკემბრისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა შენობათა შესაფასებლად ქალაქებსა, მუშათა და სააგარაკო დაბებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე მთელი სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდისა, იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას შეფასების სამუშაოთა დამთავრება არაუგვიანეს შემდეგი ზღვრული ვადებისა:

ა) ცალკეულ მოქალაქეთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა კუთვნილი შენობებისა — 1940 წლის 15 ივლისისა;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კუთვნილი შენობებისა — 1940 წლის 1 დეკემბრისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს შეფასების სამუშაოთა თავის დროზე დასამთავრებლად საჭირო კადრების შერჩევა და მომზადება.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს შენობათა შეფასების მუშაობის წარმოების დროისათვის მოაწყოს თავის შემადგენლობაში ტექნიკური აღრიცხვის ბიურო 4 საშტატო ერთეულის რაოდენობით და შეინახოს იგი იმ სპეციალური სახსრების ხარჯზე, რომლებიც შეიქმნება საბინაო-სასახლო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ასანაზღაურებელი მიზნობრივი გამოსაღების ანარიცხებისაგან.

დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს საშტატო ცხრილი.

4. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1940 წლის 1 ივლისამდე დაამთავროს კოლმეურნეობათა კუთვნილი შენობების ინვენტარიზაცია, ამასთან ამ შენობების შეფასება სავსებით შეუფარდოს მათს ნამდვილ ღირებულებას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1940 წლის საბინაო-კომუნალური მეურნეობის საფინანსო გეგმაში შენობათა ინვენტარიზაციის ხარჯები კომუნალური კეთილმოწყობის მიმდინარე ხარჯების ანგარიშში 465 ათასი მანეთის რაოდენობით, ქალაქების გადაღებისა და დაგეგმვის ხარჯები ლიმიტგარეშე ხარჯების მიხედვით — 900 ათასი მან. და ცალკეულ მოქალაქეთა შენობების შეფასების ხარჯები 330 ათასი მანეთის რაოდენობით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს 1940 წელს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ინვენტარიზაციის სამუშაოთა ჩასატარებლად:

საწერი ქაღალდი	4 ტონა
სახაზავი ქაღალდი	15 ათასი რულონი
ცვილანა	300 რულონი

7. იმ სასოფლო ნაგებობათა თავის დროზე შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

ა) არაუგვიანეს 1940 წლის 1 მაისისა შეიმუშაონ და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (სახდაზღვევის სამმართველო) წარუდგინონ სასოფლო შენობების შეფასების ჩატარების გეგმა, ტიპიურ ნაგებობათა ნუსხა და აღწერილობა (ესკიზებითურთ) და საშენი მასალების საცნობარო ფასები მათი ტრანსპორტის ღირებულების გათვალისწინებით;

ბ) არაუგვიანეს 1940 წლის 15 ივლისისა დაამტკიცონ სახდაზღვევის ორგანოების მიერ შემუშავებული შეფასების ნორმები სასოფლო-შენობების შესაფასებლად;

გ) დაავალონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეფასების სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სამი დღის ვადაში დაამტკიცონ შენობათა შეფასება.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) რაიონებიდან მიღებული მასალების საფუძველზე არაუგვიანეს 1940 წლის 1 ივლისისა შეიმუშაოს ტიპიური შენობების შეფასების ნორმებისა და ერთეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფასებათა პროექტი ტექნიკური ხარჯთაღრიცხვებითურთ და დასამტკიცებლად წარუდგინოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს;

ბ) არაუგვიანეს 1940 წლის 1 აგვისტოსა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს შეფასების ნორმები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1940 წლის 1 დეკემბრამდე დაამთავროს იმ სასოფლო შენობების შეფასება, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს 1940 წლის 20 მაისისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინონ მოხსენება ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 21. № 673.
თბილისი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა
ბიბლიოთეკა
თბილისი

и распорядительный Управ[illegible]
Груз. ССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 580/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № ა—2081 შეკ. № 611 ტირაჟი 8000